



**ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება №32**

2011 წლის 17 ივნისი

ქ. ქობულეთი

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი  
მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ 2011 წლის 17 მარტის  
№20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

**მუხლი 1.**

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 მარტის №20 დადგენილებით (სსმ 28.03. 2011 წ. ) დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გამოანგარიშებისა და გადახდის შესახებ ინსტრუქციიდან (დანართი №2) ამოღებულ იქნას მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

**მუხლი 2.**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე

